საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სასერტიფიკაციო გამოცდების შედეგები

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სასერტიფიკაციო გამოცდების პირველი ეტაპი დასრულდა.

გამოცდები 2023 წლის 27 სექტემბერიდან 6 ოქტომბრის პერიოდში განხორციელდა. სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრმა და ცენტრალური საარჩევნო კომისიის საარჩევნო საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტმა, კომპეტენციების შესაბამისად, უზრუნველყო საგამოცდო პროცესის ორგანიზება, კომპიუტერული პროგრამების ფუნქციონირება და გამოცდის ჩატარება. მოქალაქეებს 16 მუნიციპალიტეტში გახსნილი საგამოცდო ცენტრები მოემსახურა.
გამოცდაზე ჯამურად რეგისტრირებული 8124 მოქალაქიდან საგამოცდო ცენტრებში 5861 გამოსაცდელი გამოცხადდა. გამოცდის ჩაბარების შედეგების მიხედვით საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სერტიფიკატი 5813-მა პირმა მიიღო (ქალი - 4682; კაცი - 1131). საგამოცდო ცენტრების მიხედვით დამუშავებული დეტალური სტატისტიკა ხელმისაწვდომია ბმულზე.
საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სასერტიფიკაციო გამოცდის მეორე ეტაპის ჩატარება ნოემბერში იგეგმება. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია წინმსწრებად განთავსდება ცესკოს და სწავლების ცენტრის ვებ-გვერდებზე.

2023 წლის 27 სექტემბერი-6 ოქტომბრის პერიოდში გამართული საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა სერტიფიცირების გამოცდის დეტალური სტატისტიკა

N	საგამოცდო ცენტრის დასახელება	გამოცდაზე დარეგისტრირებულ პირთა რაოდენობა	გამოცდაზე გამოცხადებულ პირთა რაოდენობა	პირთა რაოდენობა, ვინც გამოცდა წარმატებით ჩააბარა
1	მცხეთის საგამოცდო ცენტრი	636	297	295
2	ბორჯომის საგამოცდო ცენტრი	326	248	246
3	ახალციხის საგამოცდო ცენტრი	400	313	293
4	საჩხერის საგამოცდო ცენტრი	604	489	487
5	ზესტაფონის საგამოცდო ცენტრი	666	560	556
6	ბაღდათის საგამოცდო ცენტრი	273	236	236
7	ტყიბულის საგამოცდო ცენტრი	443	313	313
8	წყალტუბოს საგამოცდო ცენტრი	625	416	414
9	ქუთაისის საგამოცდო ცენტრი	632	386	381
10	ოზურგეთის საგამოცდო ცენტრი	623	308	307
11	სენაკი საგამოცდო ცენტრი	543	501	500
12	ზუგდიდის საგამოცდო ცენტრი	578	471	469
13	ბათუმის საგამოცდო ცენტრი	563	280	280
14	ქობულეთი საგამოცდო ცენტრი	318	314	314
15	ფოთი საგამოცდო ცენტრი	108	93	93
16	დაბა შუახევის საგამოცდო ცენტრი	786	636	629